საექსპერტო შეფასება

წარმოდგენილი მასალები:

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. №22ბ და №22-ში, შპს "ირაო 777"-ს საკუთრებაში არსებულ 11556 კვ.მ ტერიტორიაზე (ს/კ. №01.14.03.040.372 და ს/კ. 01.14.03.040.095)-ში ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები (ელ. ვერსია)

კვლევითი ნაწილი

ინსპექტირებაზე წარმოდგენილია ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. №22ბ და №22 -ში, შპს "ირაო 777"-ს საკუთრებაში არსებულ 11556 კვ.მ ტერიტორიაზე (ს/კ. №01.14.03.040.372 და ს/კ. 01.14.03.040.095)-ში ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები. ექსპერტიზის მიზანია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შესაბამისობის დადგენა საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებთან.

აღნიშნულ ობიექტზე კვლევები ჩატარდა შ.პ.ს. "გეოინჟმშენინვესტი"-ს მიერ 2023 წლის თებერვალ-მარტში, შ.პ.ს. "დომუს დეველოპმენტი"-ს დაკვეთით და კონსტრუქტორის მიერ გაცემული ტექნიკური დავალების საფუძველზე. ექსპერტიზისთვის წარმოდგენილი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ამსახველი დაკუმენტაცია შედგება: სატიტულო გვერდი დირექტორის ხელმოწერით – 1 გვ, სარჩევი – 1 გვ, ტექსტური ნაწილი – 12 გვ,

დანართებში მოცემულია ტექნიკური დავალება – 1 გვ, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების პროგრამა – 2 გვ, ტოპოგეგმა ჭაბურღილების და ჭრილის ხაზების განლაგებით – 1 გვ, საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები – 7 გვ, ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი – 1 გვ, ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტი – 9 გვ, ლაბორატორიული კვლევების ჯამური ცხრილი – 2 გვ, სტატისტიკური დამუშავების შედეგები – 4 გვ, გრუნტის ძვრაძე გამოცდის გრაფიკები – 6 გვ, კომპრესიაზე გამოცდის შედეგები – 6 გვ, გრუნტის ქიმიური ანალიზი – 3 გვ, კლდოვანი ქანების გამოცდის შედეგები – 11 გვ, წყლის ქიმიური ანალიზი – 4 გვ, ჭაბურღილების ფოტოფიქსაცია – 2 გვ.

ტექსტური ნაწილის შესავალში აღნიშნულია, რომ, კვლევის ამოცანას წარმოადგენს საკვლევ მოედანზე გავრცელებული გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პარამეტრების განსაზღვრა, შემდგომში

საპროექტო ნაგებობების დაფუძნების პირობების დადგენის მიზნით. აღნიშნულია, რომ ჩატარებულია ტერიტორიის რეკოგნოსცირება, გაყვანილია 9 ჭაბურღილი, საერთო სიღრმით 251 გრძ/მ. აღებულია გრუნტის 35 ნიმუში და წყლის 3 ნიმუში. კლდოვანი ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების განსაზღვრისათვის კვლევები ჩატარდა სსიპ – გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის გეოტექნიკურ ლაბორატორიაში გიორგი ბალიაშვილის ხელმძღვანელობით. გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზი "გეოინჟკომპლექსი"-ს ლაბორატორიაში.

შემდეგ თავებში მოცემულია კლიმატის მახასიათებლები პნ 01.05-08"-ის მიხედვით, იდენტიფიცირებულია ტერიტორია, აღწერილია ტერიტორიის გეომორფოლოგიური პირობები, გეოლოგიური აგებულება, ტექტონიკა და ჰიდროგეოლოგიური პირობები. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებში გამოყოფილია 5 სგე. მოცემულია გრუნტების მახასიათებლების ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები.

დასკვნები და რეკომენდაციები 7 პუნქტს შეიცავს და ნათქვამია, რომ, საკვლევი მოედანი საინჟინრო-გეოლოგიური სირთულის მიხედვით მიეკუთვნება III (რთულ) კატეგორიას. თბილისის გეოლოგიური საფრთხეების ზონირების მიხედვით, საკვლევი უბანი და სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება დაბალი გეოლოგიური საფრთხის ზონას, ამიტომ სხვა რაიმე დამატებითი დამცავი ღონისძიებების ჩატარებას არ საჭიროებს; გამოყოფილია 5 სგე: **სგე 1** - თიხნარი, მუქი ყავისფერი, რბილპლასტიკური, ღორღისა და ხვიჭის შემცველობით 25 % მდე, სამშენებლო ნარჩენების ჩანართებით. გავრცელებულია ყველგან, სამშენებლო უბნის მთელ ტერიტორიაზე. ტექნოგენური ნაყარი (ტ IV) მაქსიმალური სიმძლავრე 6.5 მ; **სგე 2** - თიხნარი მუქი ყავისფერი, რბილპლასტიკური, ღორღისა და ხვინჭის შემცველობით 25 % მდე. დელუვიურ-პროლუვიური (დპ IV). მაქსიმალური სიმძლავრე 19.0 მ; **სგე 3** - თიხნარი ყავისფერი, ძნელპლასტიკური, ღორღისა და ხვინჭის ჩანართებით 30% მდე. გავრცელებულია ყველგან, სამშენებლო უბნის ფარგლებში (დპ IV). მაქსიმალური სიმძლავრე 8.5 მ.; **სგე 4** - არგილიტი მუქი ნაცრისფერი, გათიხებული, ძლიერ გამოფიტული და დანაპრალიანებული, თხელშრეებრივი. დაშრევების ზედაპირებზე ჟანგისფერი. ქვიშაქვების დაქვემდებარებული თხელი შუაშრეებით, ნახევრად კლდოვანი, მცირე სიმტკიცის, მაქსიმალური სიმძლავრე 5.3 მ.; **სგე 5** - ქვიშაქვა ნაცრისფერი, მოლურჯო, საშუალომარცლოვანი, შრეებრივი, სუსტად გამოფიტული და დანაპრალიანებული, არგილიტების დაქვემდებარებული თხელი შუაშრეებით, კლდოვანი, საშუალო სიმტკიცის გახსნილი სიმძლავრე 7.7 მ. ცხრილის სახით მოცემულია ხუთივე სგე-ს ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები.

პნ 01.01.-09 (სეისმომედეგი მშენებლობა) მიხედვით მოცემულია ტერიტორიის სეისმურობის ზონა. ანგარიშს ხელს აწერს ინჟინერ-გეოლოგი გ. რაზმაძე.

დანართებში მოცემულია ტოპოგეგმა ჭაბურღილების და ჭრილის ხაზების განლაგებით, პირობითი ნიშნებით, საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები, ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტები დაწყების და დასრულების თარიღის, აბსოლუტური ნიშნულების, სიღრმეების, ნიმუშების აღების სიღრმის და ფენის სიმძლავრის მითითებით. წარმოდგენილია ჭაბურღილების ფოტოფიქსაცია.

ანგარიშის სტრუქტურა და ჩატარებული კვლევის მეთოდები შესაბამისობაშია სნ და წ 1.02.07-87-ის §1.3-1.15 და დანართი 9-ის მოთხოვნებთან. ჭაბურღილების რაოდენობა, განლაგება და სიღრმეები შესაბამისობაშია სნ და წ 1.02.07-87-ის §3.37-3.41-ის მოთხოვნებთან. გრუნტების დასახელება და კლასიფიკაცია შესაბამისობაშია პნ 02.01-08-ს დანართი 1-ის და სნ და წ 2.02.01-83-ის §1.4-1.9-ს მოთხოვნებთან. გრაფიკული ნაწილის და ლაბორატორიული კვლევების მასალები შესაბამისობაშია ტექსტურ ნაწილში მოყვანილ მონაცემებთან.

დასკვნა

ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. №22ბ და №22-ში, შპს "ირაო 777"-ს საკუთრებაში არსებულ 11556 კვ.მ ტერიტორიაზე (ს/კ. №01.14.03.040.372 და ს/კ. 01.14.03.040.095)-ში ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები პასუხობს საქართველოში მოქმედი ნორმატული დოკუმენტების მოთხოვნებს. საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვნას ეძლევა დადებითი შეფასება.

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში №71):
   - ტექნიკური რეგლამენტი - „შენობების და ნაგებობების ფუძეები" (დანართი №2);
   - ტექნიკური რეგლამენტი - „სამშენებლო კლიმატოლოგია" (დანართი №5);

2. СНиП 1.02.07-87 „საინჟინრო-საძიებო სამუშაოების მშენებლობისათვის“;
3. პნ 01.01.-09 სეისმომედეგი მშენებლობა;
4. სნ და წ. IV-5-82 მიწის სამუშაოები;
5. სნ და წ. 2.02.02-85 ჰიდროტექნიკური ნაგებობების ფუძეები;
6. სნ და წ. 2.02.03-85 ხიმინჯოვანი საძირკვლები;
7. პნ 02.01-08 შენობების და ნაგებობების ფუძეები
8. სნ და წ. 2.02.01-83 საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობებისათვის
9. B-E – TP-G05/16 ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
10. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება
11. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №256 დადგენილება
12. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილება

ექსპერტიზის დასკვნა შეადგინა:

ექსპერტი საინჟინრო-გეოლოგიის სფეროში ინჟინერ-გეოლოგი: Ilia Tskhomelidze 01023000744 Digitally signed by Ilia Tskhomelidze Date: 2024.05.20 22:42:28 */ი. ცხომელიძე/*